



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-08/11698  
19/07/2021

11698-2-08-2-202107191722



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს  
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის (F2) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალაში, უსახელო მდინარის მიმდებარედ, 2019 წლის თებერვალში შეიქმნა №11 სანაყაროს მოსაწყობად შესაბამისი ტერიტორია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 26 აგვისტოს გამოცემა №2-764 ბრძანება 'ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უსახელო მდინარის კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების N11 სანაყაროს პროექტის ფარგლებში წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების (წყალგამტარი არხის მოწყობის) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ'.

2021 წლის გაზაფხულზე, უშუალოდ გვირაბების სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას და სანაყაროს მიმდებარედ განსათავსებელი №1 კვანძის მოწყობისას წარმოიშვა №11 სანაყაროზე განსათავსებელი ქანების მოცულობის გაზრდის საჭიროება. შერჩეული ტერიტორიის დამატებითი შესწავლის (ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების კვლევები) შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელი იყო გაზრდილი მოცულობის ქანების განთავსება.

ხსენებულის გათვალისწინებით, განხორციელდა №11 სანაყაროსა და წყალგამტარი არხის კონსტრუქციის მოწყობის პროექტის გადამუშავება (გაიზარდა განსათავსებელი ფუჭი ქანების მოცულობა და სანაყაროსათვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობი), განახლებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, გაფართოებულ სანაყაროზე შესაძლებელია დაუტკეპნავი ყრილის სახით განთავსდეს გრუნტის მაქსიმალური მოცულობა – 2292359 მ<sup>3</sup>.

ფუჭი ქანების №11 სანაყაროს მოწყობის გაფართოების პროექტი ითვალისწინებს წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, დაგეგმილია სანაყაროს გასწვრივ სპეციალური წყალგამტარი არხის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური მოცულობის წყლის გატარებას და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას წყალდიდობისგან და დატბორვისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია.

**პატივისცემით,**

ლევან კუპატაშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

